



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 187

2013 წლის 24 დეკემბერი

ქალაქი ხაშური



შ.პ.ს „კავკასგაზის“ II კატეგორიის ხაზოვანი ნაგებობის (საშუალო წნევის გაზსადენის) განთავსებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის „ვ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მე-13-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის შესაბამისად, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

1. შ.პ.ს „კავკასგაზის“ მიეცეს თანხმობა II კატეგორიის ხაზოვანი ნაგებობის (საშუალო წნევის გაზსადენის) ამ განკარგულების დანართით წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად განთავსებაზე, ქ. ხაშურში არსებულ გრუნტოვანი საფარის მქონე ქუჩაზე, რომელიც გამოიყენება ქალაქის ტერიტორიულ საზღვრებში მდ. მტკვარის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა ნაკვეთებამდე და განთავსებულ გრეს-ამდე მისასვლელად;
2. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. ქ. #15) ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე